ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№38 (1476) 19 -26 აგვისტო, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

ლენინი და... გაგია

პასუხად თენგიზ კიტოვანს

მე-2 გვ.



„ჯავახეთს“ სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა. შახატუნიანის „მეცნიერული აღმოჩენები“

მე-4 გვ.

თენგიზ კიტოვანის ღია წერილი ბატონ გიორგი სანაძირაძეს

მე-3 გვ

საფრანგეთის პრეზიდენტის ახალი საზრუნავი

მე-6 გვ.

ანონსის მაგიერ

ყიამყრალი რედაქტორის შესახებ

გაზეთ „თვალთაის“ რედაქტორმა მორიგი პასკვილი მიძღვნა, რომელიც მრისხანებითა და მუქარით დაასრულა: „ნ.გრიგალაშვილისათვის უმჯობესია რაც უფრო წყნარად იქნება, თუ არა და მერე თავისთავს დააბრალოს.

ერთი სიტყვით, ნუ რქაგვეგრეხილება“-ო!

ვერ ვიტყვი, რომ ეს კაცი, რ.ურუშაძე, საშიში არ იყოს, ვინაიდან, შეუძლია იკადროს ყველაფერი და თავის აშვებულ გაზეთში ამ დასაბმელმა რედაქტორმა ათასგვარი ცილისწამება აფრქვიოს, წადი მერე და იმართლე თავი.

ორიოდე მაგალითი მისეული პოლემიკის მეთოდიდან.

მე ვწერდი: „ურუშაძეს ადრე ტელევიზიაში უმუშავია. კომუნისტების დროში გამსახურდიას გინებით ჰქონია პირი აქაფებული, ახლა „ზვიადიზმის“ პოზიციებიდან ყველას განურჩევლად ლანძღავს, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს“.

იგი მპასუხობს: გრიგალაშვილი „კატეგორიულად მადანაშაულებს, რომ ტელევიზიაში მუშაობდაო. მე სიამაყით დავძენ, რომ ვმუშაობდი 32 წელიწადი. მერე რა?“

ამხანაგო რეზო, შენ კიდევ თავის მოსულელება გჭირდება? ტელევიზიაში რომ მუშაობდი იმის გამო გადანაშაუ-

გაგრძელება მე-5 გვ

კროსვორდი ნაფიცი ზვიადისტებისთვის

მე-8 გვ.

უდანაშაულო მამა. უდანაშაულო შვილი!

პასუხად თენგიზ კიტოვანს

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №35,36,37.

ლენინი და... ბატია

პატივცემულო მკითხველებო!

ბატიას — თენგიზს კიტოვანის სისხლის სამართლის საქმეების ერთი ნაწილი უკვე გაგაცანით. მოდით, კიდევ გადავხედოთ ბატიას ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს, საკვანძო მოვლენებს. ეს აუცილებელია თუნდაც იმისათვის, რომ კარგად გავაცნობიეროთ, რა „მძიმე“ ცხოვრება აქვს გავლილი ჩვენი დროის „გმირს“, რამდენი „პროვოკაციისა და მოწყობილი ამბების“ ატანა მოუხდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარსარდალსა და თავდაცვის მინისტრს, ამჟამად „სინდისის“ პატიმარსა და „იდეებისათვის წამებულ“ ბატიას...

რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ესაა კიტოვანის ვაუკაცურ ქმედებათა არასრული სია.

1) 1960 წლის 17 ოქტომბერს, სამხედრო საექიმო კომისიამ ჯარიდან შვებულებით ჩამოსული ბატია „ჩამოწერა“ როგორც ფსიქიურად დაავადებული, შემდეგი დიაგნოზით — „პსიხოპატიჩესკაია ლიჩნოსტ აფეკტივნო - ლიაბილნოგო კრუგა“-ო, რითაც თავიდანვე განსაზღვრა ბატიას — როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწის ბედი. ამ დროს იგი სულ რაღაც 22 წლისაა.

2) 1960 წლის 25 ნოემბერს — მისი „ჩამოწერიდან“ რაღაც 38 დღეში, ბატიამ დათეთქვა ვინმე გრიგორიანი, ხოლო **1961** წლის 9 აპრილს შოთა გიგაური და თინა ალადაშვილი, რისთვისაც მიესაჯა 1 წლით. „შრომა-გასწორებითი მუშაობა ხელფასიდან 15% დაკავებით სასჯელის სამუშაო ადგილზე მოხდით“... ბატია მაშინ 22 წლის იყო!

3) 1962 წლის 9 ივნისს ბატიამ ჯერ გაარტყა, შემდეგ კი „რაღაც მკვრივი იარაღი“ ჩაარტყა ვინმე როინაშვილს. ბატიამ მოიტანა ალიბი, რომლის მიხედვითაც თურმე 9 ივნისს იგი ქარელში კი არა — სადაც შემთხვევა მოხდა, არამედ თბილისში, საკუთარ სახლში იმყოფებოდა და დაბადების დღეს აღნიშნავდა. ბატია ამ დროს 24 წლის გახდა!

4) 1962 წლის 11 ივლისს, მაშინ როდესაც როინაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო ჯერ კიდევ არ იყო შემდგარი — (მიაქციეთ ყურადღება — ქარელში სასამართლო შედგა **1963** წლის 20 იანვარს! თ.კ.) — მან და მისმა მეგობრებმა თბილისში ცემეს ვინმე მაჭავარიანს და დაჭრეს იგი. თავის მხრივ მაჭავარიანმაც დაჭრა კიტოვანი. **1962** წლის 22 ოქტომბერს სასამართლომ თბილისში გამოიტანა განაჩენი კიტოვანის მიმართ და სასჯელად დაუწესა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ქარელის ეპიზოდთან დაკავშირებით კი სასამართლო შედგა — როგორც ვთქვით — **1963** წლის 20 იანვარს! ამ დროს ბატია თითქოს კოლონიაში უნდა ყოფილიყო გამწესებული, მაგრამ საქმე ისაა, რომ თ.კიტოვანს როგორც „ავადმყოფ პიროვნებასა“ და სტუდენტს ერთი წელი საპატიმრო სასჯელი შეუცვალეს სამწლიანი გამოსაცდელი ვადით! კიტოვანი ამ დროს ჯერ კიდევ **24** წლისაა.

5) 1963 წლის 5 თებერვალს, ბაკურიანში ბატიამ მანქანა დააჯახა ვინმე გავვას — სპორტის ოსტატს და ოსტატურად ამოაყოფინა თავი საავადმყოფოში. სასამართლო შედგა ბორჯომში **1963** წლის 4 ივნისს. სასამართლოზე კიტოვანი ფიგურირებს როგორც „სამართალში არ ყოფილი“ (?!). დაიმალა არათუ მრავალი ნასამართლობა, არამედ ბოლო განაჩენიც — ე.წ. გამოსაცდელი სამწლიანი ვადა!

სასამართლომ ბატიას ისევ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ვინაიდან აუცილებლად არ ჩათვალეს მისი საზოგადოებიდან მოკვეთა, ერთი წელი პატიმრობა შეუცვალეს — ერთწლიანი... საგამოცდო ვადით! კიტოვანი მაშინ 25 წლისაც არ იყო!

როგორ მოგწონთ პატივცემულო მკითხველებო?

6) 1963 წლის 13 სექტემბერს ბატიამ თბილისში ცემა საკუთარ მამიდას! შემდეგ ემალებოდა რა გამოძიებას, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე გარკვეული „ავტორბოლების“ შემდეგ დაეკავა მილიციამ. როგორც ჩანს, მამიდამ მეტი პრინციპულობა გამოიჩინა და ამჯერად ბატიას გამოსახსნელად მშობლებმა მისი „შეურაცხადობა“ მოიშველიეს. როგორც უკვე იცით, სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა ბატიას სიგიჟე და როგორც შეურაცხადი გაათავისუფლეს ს.ს. პასუხისმგებლობისაგან და მშობლებს გადასცეს სამეთვალყურეოდ! ბატია ამ დროს სულ რაღაც **25** წლისა იყო!

1964-67 წლებში ბატიას „მოღვაწეობა“ ნაკლებადაა ცნობილი, არც ჩვენ ჩავღრმავებივართ მაინცა და მაინც — მისი ბიოგრაფები ასე თუ ისე მომავალში თავს მოაბამენ ამ საკითხს. **1968** წელი კი უკვე კარგადაა ცნობილი — ბატია ისევ გამოდის ასპარეზზე, ოღონდ ამჯერად როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწე!

კიტოვანი იმდენად თავმდაბალი აღმოჩნდა, რომ თავისი ბიოგრაფიის ამ ეპიზოდზეც დუმილი ამჯობინა, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მკითხველამდე მისი მოტანა. მაშ ასე, ბატია, ყურადღებით! ცოტათი კიდევ ავწიოთ ფარდა და დავაკვირდეთ რა გამოჩნდება. რაო, რას ქირქილებ შენ ჩემ თავმკვდარო, ა?

მაშ ასე, ტრაგიკომედიის მორიგი მოქმედება —

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ვინც იყო, ჩვენ საზოგადოებას კარგად მოეზსენება, ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებ. ლენინთან, საერთოდ ბოლშევიზმთან ბრძოლას რომ მილიონობით ადამიანი შეეწირა, ესეც საყოველთაოდაა ცნობილი.

ბატიაც ებრძოდა ბოლშევიზმსა და პიროვნულად ლენინსაც, ოღონდ ბატიამ ბრძოლის ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა და ლენინისა და მისი იდეოლოგიის დისკრედიტაციისათვის მისი მახინჯი პორტრეტების წარმოებას მიჰყო ხელი. ბოლშევიკური ხელისუფლება აბა რისი ბოლშევიკური იყო და ბატიაც „რეპრესიებში“ მოაყოლეს. ამონაწერი საბრალდებო დასკვნიდან:

„თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანის ბრალდებაზე, დანაშაული გათვალისწინებული სქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 93 მუხლის III ნაწილით:

საქმე აღიძრა ქ.თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის მილიციის განყოფილებაში 1968 წლის 28 ივნისს, რაც ქვემდებარეობის წესით გამოსაძიებლად შემოვიდა ჩვენთან.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით გამოირკვა და დადასტურდა ის გარემოება, რომ 1967 წელს ქ.თბილისის სამხატვრო საწარმო კომბინატმა მიიღო შეკვეთები ლენინის ბარელიეფის ჭედური ხელოვნებით დამზადების შესახებ“...

„მდგრადი რეჟიმი ყველანაირად უწყობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა იდეების პროპაგანდას, რომლის შემადგენელ ნაწილადაც მიიჩნევდნენ ბელადების პორტრეტთა ფართოდ გავრცელებას. ვიცით რა ბატიას უარყოფითი დამოკიდებულება კომუნისტურ რეჟიმთან, იგი ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობას რა თქმა უნდა არ მიიღებდა — ადგებოდა ალბათ —, ბევრის მსგავსად — და შემოქმედებითი ეინის დასაკმაყოფილებლად, მიმართავდა ნეიტრალურ მუდმივ თემებს: მაგ. სიყვარულს! თქვენი არ ვიცი და მე ასე მჯერა! თუმცა, გავაგრძელოთ საბრალდებო დასკვნის კითხვა, აბა, რა პროვოკაციას უწყობს ხელისუფლება ჩემს ბატიას;

„...სამხატვრო საწარმოო კომბინატთან არსებულმა სამხატვრო საბჭომ გაანაწილა მხატვრებზე სამუშაო და მათ შორის სამუშაო მიიღო (აჰ! არ დამლუპო, შენ ჩემ თავმკვდარო ბატია! დროზე თქვი უარი, თორემ მოგვეჭრა თავი! თ.კ.)... კიტოვანმა, განაწილების მიხედვით 20 ცალი ლენინის ბარელიეფის ჭედური ხელოვნებით დამზადების შესახებ (დმერთო! რატომ არ გამისკდება მიწა და რატომ არ დამეხსება თვალები! თუმცა სდექ, მკითხველო! ჯერ კიდევ ყველაფერი არაა დაკარგული, იქნებ რა ხდება, იქნებ რა ჩაიფიქრა კომუნიზმის წინააღმდეგ და დემოკრატიისათვის მებრძოლმა ბატიამ, ვაცადოთ ცოტა, ნუ გადააგდებთ გაზეთს, მოგვეცით მე და ბატიას ცოტაოდენი შანსი! თ.კ.) ამავე განაწილებაში კიტოვანის მიერ შეყვანილი იქნა ორაგველიძე, ძაგნიძე, მიქაბერიძე და სადაღაშვილი.

კიტოვანმა სამხატვრო საბჭოს წარუდგინა ლენინის ბარელიეფის ეტალონი ჭედური ხელოვნებით დამზადებული, რაც მოწონებულ იქნა, რის შემდეგაც ნაცვლად იმისა, რომ ლენინის ბარელიეფები დაემზადებინა ჭედური ხელოვნებით, მან ნდობა გამოიყენა ბოროტად და დაიწყო ბარელიეფის დაშტამპვა და დამზადება.

კიტოვანმა გამოიყენა რა ნდობა ბოროტად, ვინაიდან მის მიერ დამზადებული ეტალონი მოწონებული იყო, დამზადა ლენინის ბარელიეფები შტამპური წესით, სამხატვრო საბჭოზე გაატარებინა ოქმში 100 ცალი ლენინის ბარელიეფი თავისი და მისი ამხანაგების სახელზე.

სამხატვრო საბჭოს მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე შედგა განრიგი, კალკულაცია, რის შემდეგაც კიტოვანის მიერ დამზადებული ასი ცალი ლენინის ბარელიეფი ჩაბარდა საწყობს, საიდანაც გაიგზავნა ოდესის კულტბაზაში სარეალიზაციოდ. თბილისის კულტბაზის მიერ 100 ცალი ლენინის ბარელიეფის ღირებულება გადმოირიცხა, რომელიც მიიღო კიტოვანმა.

ოდესის კულტბაზამ კიტოვანის ნამუშევარი დაიწუნა, როგორც უხარისხო“.

აი, ახლა კი მიხვდით ალბათ ბატიას ჩანაფიქრს. ადგა ბიჭი და ლენინის 100 უხარისხო ბარელიეფი გაუგზავნა ოდესას. როგორც ჭეშმარიტ პატრიოტსა და ანტიკომუნისტს, სხვაგვარად მოქცევა არც შეეძლო — იდეოლოგიურ დივერსიას მიჰყო ხელი.

პროვოკაციამაც არ დააყოვნა — ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ბატიას სახელის გასატეხად!

„კიტოვანისათვის ცნობილი გახდა, რომ მის მიერ დამზადებული ლენინის ბარელიეფები ოდესის კულტბაზამ უკან დაბრუნა და მათ ნაცვლად სამხატვრო საბჭოს გვერდის ავლით და სათანადო გაფორმების გარეშე ოდესის კულტბაზაში 102 ცალი (მოუმატა, მოუმატა „ფოსტას“ ბატიამ! თ.კ.) ლენინის ბარელიეფი გაგზავნა...

ბუდალტერიიდან მისმა ამხანაგმა მანუგალაძემ მიიღო რკინიგზის საფრახტო ჩეკი, საქონლის გაგზავნის საბუთებზე ხელი მოაწერინა ჭედიას...

კიტოვანის მიერ ქ.ოდესის კულტბაზის სახელზე გაგზავნილი 102 ცალი ლენინის ბარელიეფიც დაწუნებულ იქნა როგორც უხარისხო ნამუშევარი, რაც დაბრუნდა უკან“.

როგორც ხედავთ, პროვოკაციას პროვოკაცია მოსდევს. თუმცა, მოუსმინოთ პოლიციელებს:

(სტილი მოგეხსენებათ, დაცულია! თ.კ.)

„მილიციის თანაშშრომლების მიერ შემოწმებული იქნა კიტოვანის მიერ დამზადებული ლენინის ბარელიეფები ჭედური ხელოვნებით და ექსპერტის მიერ შედგენილი იქნა დასკვნა, რომ კიტოვანის ნაშუშევრები არ იყო ჭედური ხელოვნებით დამზადებული და იყო შტამპური წესით შესრულებული.

მილიციის თანაშშრომლების მიერ დადგენილი იქნა ადგილი: მხატვარ დავდარიანის სახელოსნოში ყირის ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე, სადაც გადამალული ქონდა კიტოვანს მის მიერ შტამპზე დამზადებული ლენინის ბარელიეფები 673 ცალი და შტამპი, რაზედაც უჩვენა, რომ მან ლენინის ბარელიეფი ჭედური ხელოვნებით დაამზადა 812 ცალი იმის გამო, რომ იგი ფიქრობდა შემდგომში მის რეალიზაციას“.

როგორც ხედავთ, ბატიას აბრალებენ, რომ ჭედურობის მაგივრად შტამპური წესით დაამზადა ბარელიეფებიო! თანაც ასი კი არა, 812 ცალიო და ა.შ. მაგრამ მთავარ ბრალად ფულის — სულ რაღაც 4655 მანეთისა და 20 კაპიკის მითვისება დაბრალეს. საბრალდებო დასკვნა ამ დანაშაულზე შედგენილია 1968 წლის 20 ნოემბერს.

ნუ აღელდებით, პატივცემულო მკითხველებო! ბატიას, ჩვენს ბატიას ბუსსაც ვერავინ აუფრენს — უბრალოდ ფული დაუბრუნებინეს, მის მიერ დამზადებული ლენინის ბარელიეფები კი თბილისის სამხატვრო საწარმოო კომბინატს გადაეგზავნა **გასანადგურებლად!**

ასე და ამგვარად დაეკარგა შთამომავლობას ბატიას პატრიოტული მოღვაწეობის დამადასტურებელი 812 მტკიცებულება. აფსუს!

ს.ს. საქმე ბატიას მიმართ წარმოებით შეწყდა 1970 წლის 7 აპრილს — მაგრამ მანამდე 1969 წლის 15 ნოემბერს თბილისი — რუსთაველის გზაზე მანქანა დააჯახა ორ ახალგაზრდას, არც კი შეჩერდა და გაქცევა სცადა... მაგრამ, ამაზე შემდგომ.

ბატია! შენ ჩემ თავმკვდარო! მოგეთმინა ხუთიოდე თვე — ჯერ ერთი საქმეც არაა დამთავრებული და უკვე ახალ შარს რომ ჰკიდებ ადამიანებს... მაგრამ ბოდიში, ახლახან გავიგე, შიშილობა გამოგიცხადებია, შენი ნერვიულობა ალბათ არც შეიძლება, მით უმეტეს იმ ცნობების შემდგომ, რომელიც მკითხველებს უკვე გავაცანი.

სიყვარულით სრულიად საქართველოსთან ერთად

ᲨᲔᲜᲘ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ

გაგრძელება იქნება

P.S. შემდეგ წერილს ერქმევა: „ჩუმად! ნუ გააღვიძებთ კიტოვანს!“



იგი სიკეთეს ასხივებდა

ამ საოცრად მშვიდმა და კეთილშობილმა კაცმა, რომელსაც ასეთი გულისტკივილით დაემშვიდობა ჩვენი საზოგადოება, ცხოვრების დიდი ქარცეცხლი გამოიარა. ეროვნული მოძრაობის შუაგულში იყო და არასდროს შეუცვლია ადრე დასახული გეზი. ცხრა აპრილის საშინელებაც იგემა და შემდეგ ბევრი შეურაცხყოფა და გულისტკივილი. რამდენს ცდილობდა სამოქალაქო ომის ტრაგედიას ავცდენოდით. ქართველთა მიერ ერთმანეთისთვის ნასროლი ტყვია ჯერ თითქოს მის სულის წიაღს გაივლიდა. ამას მოჰყვა მუხანათური მრავალგზის ღალატით გაჯერებული აფხაზეთის ტრაგედია, შემდეგ კი, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ქვეყანა დაწყნარდა — შეიძლება ითქვას, რომ თემურ ფიფიას წამითაც არ ჩაუმუხლია, არ დაუსვენია. ძალზე ბევრს მოძრაობდა, ცდილობდა ის სამსახური, რომლის ხელმძღვანელობაც დაავალეს, უფრო ქმედითი და მობილური ყოფილიყო. ახლა ვინ იცის, სად და როდის მიიღო მისმა სიკეთით და სიყვარულით სავსე გულმა ბზარი, რომელიც ასე მოულოდნელ და საბედისწეროდ-წამად იქცა. დიახ! სამაგალითო იყო ბატონი თემურ ფიფია, როგორც სამშობლოს თავდადებული ჯარისკაცი. მისი შრომის და ცხოვრების წესი მაღალი ზნეობის ჭეშმარიტი განსახიერებაა და ამდენად საუცხოო ნიმუში ჩვენთვის, მისი მეგობრებისათვის. იგი მთელი თავისი მრწამსით პატიოსნად ემსახურებოდა წმიდათაწმიდა იდეალებს.

ბატონმა თემურ ფიფიამ თავის ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეძლო პატრიოტის, გულისხმიერი მეგობრის სახელის დამკვიდრება. იგი სიკეთეს ასხივებდა და ამდენად ძალზე ადვილი იყო მასთან ურთიერთობა, იგი ყველას უყვარდა.

გემშვიდობებით, ძვირფასო თემურ. ვიცით, გაუმრთელებელი საქართველოს დარდი მიგყვება პირველყოვლისა. გწამდეს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ ოცნებობდი...

ნოდარ გრიგალაშვილი
თამაზ ტყემალაძე
გიორგი ხარაბაძე

თენგიზ კიტოვანის ღია წერილი

გაზეთის «სრულიად არასაიდუმლოდ» მთავარ რედაქტორს ბატონ გიორგი სანადირაძეს

ბატონო გიორგი, წავიკითხე თქვენი წერილი „ორმაგი აგენტის დასასრული“ და ძალიან გაოცებული დავრჩი თქვენი „პროფესიონალური“ გამორკვევით. მართალი გითხრათ, ცოტა დამაფიქრა და გამახსენა ბატონ შოთა კვირაიას „ოპერატიული მონაცემები“, რომელიც რეკომენდაციებს უწევდა ედუარდ შევარდნაძეს, თუ როგორ გადაეყენებინა ბაკურ გულუა და მისი ძმა, ჯემალ ჭუმბურიძე, ლანჩავა როგორ გახდა მისი აგენტი, ასლან აბაშიძე როგორ ჩამომყავდა თვით შევარდნაძის ადგილზე და ათასი სხვა მონაჭორი. რაც მთავარია, როგორ ვიკრიბებოდით რომან გვენცაძესთან სახლში და როგორ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალებას. ნამდვილად არ მინდოდა გამოეხმაურებოდი თქვენს წერილს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაზეთ „საქართველოში“ გაჩნდა ახალი პუბლიკაცია: „უდანაშაულო მამა! უდანაშაულო შვილი“, იძულებული ვხდები ნათელი მოვფინო სინამდვილეს. ამჯერად, ბატონო გიორგი, ვისაუბროთ თქვენეული საგაზეთო დიალოგითა და წამოყენებულ ბრალდებებზე, ხოლო მეორე სტატიის ავტორი პასუხს მიიღებს თხრობის დასასრულის გაანალიზების შემდეგ.

თქვენს სტატიაში პირდაპირაა მითითებული, რომ იგორ გიორგაძე „მეთექვსმეტედ“ წოდებული, რუსეთის სამხედრო დაზვერვის რეზიდენტია ამიერკავკასიაში და „კომანდორად“ მონათლული, დასავლეთის სპეცსამსახურის აგენტი — რუსეთში. „საქართველოს უშიშროების სამსახურს ამ ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი, პირველწყაროს დოკუმენტებით დადასტურებული მონაცემები გააჩნდა“, შემდეგ კი ბრძანებთ: „თენგიზ კიტოვანმა და ჯაბა იოსელიანმა რუსეთის მთავარი სამხედრო დაზვერვის შუამდგომლობით მისი (იგულისხმება იგორი) კანდიდატურა უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენეს“-ო. გთხოვთ, ბატონო გიორგი, მკითხველთან ერთად მივყვეთ რეალურ ანალიზს.

უმჯობესია, ჯერ მოვუსმინოთ პარლამენტის ყოფილ სპიკერს, ბატონ ვახტანგ გოგუაძეს, რომელმაც კითხვაზე: „ვისი რეკომენდაციით, გნებავთ ზეწოლით, დაინიშნა გიორგაძე უშიშროების მინისტრად?“ (გაზეთი „საქართველო“ №27, 5 ივლისი, 1996 წ.) იქვე პასუხობს: „როგორც თვით ბატონმა იგორმა პარლამენტის სხდომაზე თქვა, იგი რეკომენდირებულ იქნა ამ თანამდებობაზე ჯაბა იოსელიანის მიერ. პარლამენტს კი დასამტკიცებლად ყველა მინისტრი წარუდგინა ბატონმა ედუარდმა“. იქნებ ასეთმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ბატონო გიორგი თქვენი სურვილი, მაშინ გეტყვით მეტსაც. მე, თენგიზ კიტოვანი, ვიცე-პრემიერობიდან და თავდაცვის მინისტრის პოსტიდან განთავისუფლებული ვარ 1995 წლის 6 მაისს, ე.ი. თითქმის 6 თვით ადრე, ვიდრე იგორ გიორგაძე დაინიშნებოდა აღნიშნულ პოსტზე. ამდენად, როგორ შემეძლო, მიმეღო რაიმე სახით მონაწილეობა იგორის დაწინაურებაში, გაუგებარია. ეს ხომ აბსურდია, მითუმეტეს, იგორი არასოდეს ყოფილა ჩემთან დაახლოებული პიროვნება. პირიქით, ის ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოების თვალში შელახულიყო ჩემი ავტორიტეტი. გაიხსენე,თ მისი ბოლო „აკორდიც“, 1995 წლის 13 იანვარს თუ რა მეთოდებით ჩაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის მსვლელობა, მიმავალი აფხაზეთისაკენ. შემდეგ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად როგორ ცდილობდა ტელევიზიითა და პრესით ესროლა ჩემთვის ტალახი და შეექმნა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი. ნაწილობრივ მათ ეს შესძლეს კიდეც, მაგრამ ჭეშმარიტება თანდათანობით დადგინდება. გთხოვთ, ბატონო გიორგი, ერთხელ მაინც მობრძანდეთ იმ სასამართლო სხდომაზე, სადაც იხილება რესპუბლიკის პროკურატურის მიერ „შელამაზებული“ საბრალდებულო საქმე ფრონტის საქმიანობასთან დაკავშირებით. მოგესმინათ სასამართლო სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები (ბატონები: ავთანდილ იოსელიანი, ჯემალ მიქელაძე, დემურ მიქაძე, ლევან კენჭაძე, საგზაო პოლიციის არაერთი თანამშრომელი) და დარწმუნდებით, რა უსუსური, დაუდასტურებელი ბრალდებებია პროკურატურის მხრიდან. სასამართლო ვახსენე და მართებულად მიმაჩნია გაუწყოთ, რომ იგი წააგავს იმ სასამართლოს სხდომას, რომელიც ყველას გვინახავს კინო-ფილმში „მაგდანას ლურჯა“ და მიუხედავად ძიების უსაფუძვლობისა, განაჩენი წინასწარი სცენარით მიმდინარეობს, რადგანაც კანონზე ძალადობის არაერთი ფაქტი ფიქსირდება. ამაზე დეტალურად სხვა დროს. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ მართლაც საცოდავია ედუარდ შევარდნაძე, რომ ასეთი სამართალდამცავი (პროკურატურა, სასამართლო) ხალხის იმედი აქვს. ვერ ასრულებენ, ბატონებო, ისინი თქვენს დავალებას „ხარისხის ნიშნით“. ერთი კია, რომ ჩემი დაკავება იმითაც აღმოჩნდა სასარგებლო, რომ შემდეგ განხორციელებული ტერაქტები, დარწმუნებული ვარ, მევე დამბრალდებოდა. მადლი უფალს, რომ საკანში ვიმყოფები.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ 1996 წლის 10 თებერვალს „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ კორესპონდენტ იულია კალინინასადმი მიცემულ ინტერვიუს, სადაც შევარდნაძე აცხადებს: „წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა ციხეში ნაჯდომ კაცს (ჩემზეა საუბარი), უცებ რომ გახდებოდა ვიცე-პრემიერი, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი“-ო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ შევარდნაძემ ხომ ძალიან კარგად იცის, თუ რაზე ვიყავი ციხეში, მე ამაზე „საქართველოს“ ფურცლებზე არაერთხელ დამიწერია და შემდგომშიც, ალბათ, კიდევ მომიწევს პასუხი გავცე მავანს და მავანს, დამკვეთთა მჭერ მოპოვებულ პრეს-ცენტრების უფროსებს, მაგრამ ეს სხვა დროს. გეკითხებით ყველას, ქვეყნისათვის რომელი უფრო მართებულია, ავტოავარიაზე „ნაჯდომი“ კაცი ყოფილიყო თავდაცვის მინისტრი თუ ორმაგი აგენტი და როგორც ბატონო გიორგი თქვენ ბრძანებთ, მოღალატე პიროვნება (თურმე ისიც ცნობილი იყო ქვეყნის უშიშროების სამსახურისათვის) სახელმწიფოს უშიშროების მინისტრად. შევარდნაძემ ისიც ხომ კარგად იცოდა, რომ კაგებეს ყოფილ შეფს, აწ გარდაცვლილ ალექსი ინაურს, მის პირად მდივანთან „კეკლუცობის“ გამო, „კრასავჩიკად“ წოდებული იგორ გიორგაძე, თურმე, გაძევებული ყოლია ცენტრალური აპარატიდან. და ასეთი პიროვნება ინიშნება უშიშროების შეფად, ხოლო შემდეგ „დამსახურებისათვის“ აჯილდოებს გენერალ-ლეიტენანტის წოდებით. რა ჰქვია, ბატონო გიორგი, ამას? იქნება ცოტა დაფიქრებულიყავით ყოველივე ამაზე. თქვენ ალბათ „დაკვეთა“ შეასრულეთ, მაგრამ იმაზე კი არ გიფიქრიათ, თქვენი სტატიით როგორი სამსახური გაუწიეთ „მამა-მარჩენალს“. იცოდეთ, ის მალე გაგიბრაზდებათ და მაშინ კი გვიანი იქნება „თითზე კბენანი“. რაც შეეხება ჩემს ზედმეტსახელს „ბატიას“, რომელიც თქვენ ასე გაინტერესებთ, მოგახსენებთ — შემარქვეს ლაგერში და არავითარი კავშირი არ აქვს იგორის ფანტაზიასთან. თუკი ზედმეტ სახელთან გაინტერესებთ რაიმე, მოგაგონებთ რომ თვით შევარდნაძეს რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი და პოლიტბიუროს წევრიც იყო, „პაპუგაიჩიკი“ შეარქვეს. რომელი უფრო კარგად ეღერს? ამის დასკვნის უფლებას თქვენ გიტოვებთ.

თენგიზ კიტოვანი
ორთაჭალის ციხე

მიმართვა საქართველოში მცხოვრები სომხებისადმი

„რა სირთულეებსაც უნდა განიცდიდეთ, მოდით, ვიყოთ გულახდილნი: დამისახელეთ მსოფლიოში თუნდაც ერთი სახელმწიფო, იქნება ეს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მილიონი სომეხი ცხოვრობს, საფრანგეთი, იქ მცხოვრები 400 ათასი სომხით, სირია, ირანი, ერაყი, ლიბანი, არგენტინა, ან თუნდაც რუსეთი, შუა აზია... დამისახელეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომხურ თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს... ჩვენმა ხალხებმა უნდა შეძლონ, რომ საკადრისი პასუხი გასცენ უპასუხისმგებლო ადამიანებს, რადგან ნებისმიერი სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლისა, არის არა ქართველთა, არამედ სომეხთა მტერი, და ანალოგიურად სომხეთის მოწინააღმდეგე ნებისმიერი ქართველი, უწინარეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მტერია“.

ლევონ ტერ პეტროსიანი
სომხეთის პრეზიდენტი

„ჯავახკას“ სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა. შახატუნიანის „მეცნიერული აღმოჩენები“

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №37

ა. **შახატუნიანი** წიგნაკს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის კრიტიკით იწყებს. მიუთითებს, რომ ცარიზმის დროს კავკასიის ხშირი ადმინისტრაციული დანაწილება და ცვლილებები, საერობო ადმინისტრაციული რეფორმების ყველა პროექტი დასაბუთებული იყო მხარის „ადგილობრივი თავისებურებებით“, მაგრამ კავკასიის ინტელიგენციამ ზუსტად არ იცოდა რას აკეთებდა მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება, რა სახელმწიფოებრივი მუშაობა წარმოებდა, რა ცვლილებები ხდებოდა მხარისა და ხალხის ცხოვრებაში. „დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის მედროშე“ ა.შახატუნიანი ცარიზმის დროს ამიერკავკასიის დაყოფებზე როცა მსჯელობს, ყოველთვის სინანულითა და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ახალქალაქი თბილისს დარჩა“, „ქართველმა ნაციონალისტებმა დააყენეს ამ მიწაზე საქართველოს ისტორიული უფლების საკითხი“, „ახალქალაქის პლატო წარმოადგენს ყარსის ან ალექსანდროპოლის უშუალო გაგრძელებას ოროგრაფიული, კლიმატური პირობებისა და სოფლის მეურნეობის მხრივ“, „თბილისის გუბერნიის სომხური (სომხეთის) ნაწილი“ და სხვ. 1829—1830 წლებში სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან სომხების ჩამოსახლებაზე საუბრისას საერთოდ ერთხელაც არ ახსენებს საქართველოს და „ამტკიცებს“, რომ ისინი დასახლდნენ „ამიერკავკასიის სომხეთში“, „სომხეთის ზეგანზე“ და ა.შ.

ა.შახატუნიანი მიუთითებს, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წინ აუცილებელია დავასაბუთოთ ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნები. ჩვენ გვევალება ჭკვიანურად და მეცნიერულად დავაკონკრეტოთ ის საერთო პრინციპები, რომლებიც აღიარებულია მთელი რუსეთისათვის ჩვენი მონათესავე რუსი სოციალისტების მიერ. ძალზედ მნიშვნელოვანია კავკასიის მხარის სპეციფიკური გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ეროვნული პირობები და თავისებურებანიო. აქედან გამომდინარე იგი აღნიშნავს, რომ დომინირებს ამიერკავკასიის ხალხთა სამი ძირითადი ტიპი თავის გეოგრაფიულ საზღვრებში: ჩრდილოდასავლეთი (საქართველო), აღმოსავლეთი (აზერბაიჯანი) და სომხეთის მთიანეთი. ა.შახატუნიანი დაასკვნის, რომ „თუ გავეცნობით ამიერკავკასიის ეკონომიკურ და ეროვნულ განსხვავებას, რომელიც მთლიანად ემთხვევა გეოგრაფიულ და კლიმატურ დაყოფას, ნათელი გახდება, რომ აღდგეს ბუნებრივი საზღვრები მხარის ცალკეულ ნაწილებში და **არსებული ადმინისტრაციული დაყოფისაგან შეიქმნას სრულიად დამოუკიდებელი, განსაკუთრებული თვიმართველობითი ან ავტონომიური ერთეული**“-ო (იხ. ა.შახატუნიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 25). იგი ასეთ ერთეულებად მიიჩნევს „თბილისის გუბერნიის სომხურ ნაწილს“ — ახალქალაქსა და ლორეს.

ა.შახატუნიანი დაწვრილებით მიმოიხილავს ამიერკავკასიის სამივე რეგიონისათვის დამახასიათებელ სოფლის მეურნეობის დარგებს. მიუთითებს, რომ თითოეული რეგიონისათვის აუცილებელია განსაკუთრებული მიდგომა. სახელმწიფოებრივმა, საერობო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხარის თითოეულ ნაწილში უნდა იმუშაონ განსაკუთრებული სპეციფიკური მიმართულებით და საშუალებით. ამიერკავკასიის სამივე ნაწილის მესაქონლეობაც რაოდენობრივად და თვისებრივად არსებითად განსხვავდება. სომხეთის ზეგანი ამიერკავკასიის მთავარი ალპური რაიონია. თბილისის გუბერნიის ახალქალაქისა და ბორჩალოს საძოვრები არ განსხვავდება ყარსის ოლქის ჩილდირისა და სარიკამიშის, ერევნის გუბერნიის ნოვო-ბაიაზეთისა და პამბაკის საძოვრებისაგანო. „ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის, — განაგრძობს იგი, — მთავარი დარგების მიმოხილვამ გამოავლინა ბევრი მეტად არსებითი განსხვავება ქვეყნის ძირითად ნაწილებს შორის. ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიის სამეურნეო პირობების განსხვავების მიუხედავად შეიძლება ზუსტად მიუთითოთ სამი მსხვილი რაიონის საზღვრებზე, თითოეულში არსებობს განსაკუთრებული პირობები და მეურნეობის დამახასიათებელი განსაკუთრებული ტიპი“ (გვ. 55). აქედან გამომდინარე იგი ვეღარ მალავს თავის პოლიტიკურ მიზნებს და დაასკვნის: საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, რომ კავკასიის სამ ძირითად რეგიონში გავრცელებული სოფლის მეურნეობის დარგები არ ემთხვევა მხარის გუბერნიებად და ოლქებად არსებულ ადმინსტრაციულ დაყოფას. პირიქით, თურმე გამოირკვა, რომ ძირითადი სამეურნეო ნიშნების მიხედვით მხარის დაყოფა მთლიანად ემთხვევა (შეესაბამება) ოროგრაფიულ-კლიმატურ ნიშნებსო. ამიტომ საერობო და პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა შეესატყვისებოდეს მეურნეობრივ თავისებურებებს და არა არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას, თვით ამ შემთხვევაშიც კი თუ არ იქნებოდა სხვა, — **კერძოდ, სოციალური და ეროვნული პირობებიო.**

„...თუ ჩვენ დავარღვევთ საქართველოს კლიმატურ-ოროგრაფიულ საზღვრებს და შევხედავთ ისე, — აცხადებს ა.შახატუნიანი, — როგორც ნაციონალისტებს ჰგონიათ და საქართველოს მივიჩნევთ თბილისის გუბერნიის სამხრეთ მაზრებს, მაშინ დავკარგავთ სრულ წარმოდგენას საქართველოზე, როგორც გარკვეულ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ერთეულზე. ახალქალაქისა და ლორეს პლატოზე **ჩვენ ვერ შევნიშნავთ ვერავითარ ქართულს არა მარტო კლიმატურ-სამეურნეო, არამედ აგრეთვე ეროვნულობის მხრივ.** მართალია გვაქვს მონაცემები, რომ 1828 წელს თურქეთში ემიგრირებული ახალქალაქის მაზრის მუსლიმანური მოსახლეობა ქართული წარმოშობისა იყო, მაგრამ ეს იყო ერთადერთი გამონაკლისი. ქართველობა ცხოვრობდა და ცხოვრობს გარკვეული კლიმატური, ფლორისა და მეურნეობრიობის ქვეყანაში. საერთოდ თუ სურვილი გვაქვს შევისწავლოთ ამიერკავკასიის ეთნოგრაფია, ჩვენ უარი უნდა ვთქვათ როგორც **ისტორიულ, ისე პოლიტიკურ ადმინისტრაციულ პირობებზე.** პირიქით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ოროგრაფიასა და კლიმატოლოგიას შეუძლიათ ამ საკითხში გაგვიწიონ დიდი სამსახური“ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 58-59).

როგორც ვხედავთ ა.შახატუნიანმა ვერავითარი ქართული ვერ შენიშნა ახალქალაქის მაზრის ძირძველ ქართულ სოფლებში (აფნია, ბარალეთი, გოგაშენი, კოთელა, პტუნა, ქილდა, ჩუნჩხა, ხოსპიო) და ისინიც სომხურ სოფლებად მიითვალა.

ა.შახატუნიანი კატეგორიულად „ამტკიცებს“, რომ მომავალში ხალხთა კულტურული განვითარების პერსპექტივები და მათ შორის ურთიერთობის მოგვარება დაუყოვნებლივ მოითხოვს ამიერკავკასიის ახალ ადმინისტრაციულ დაყოფასო. მას არსებული ადმინისტრაციული დაყოფა ხელოვნურად მიაჩნია და მისი შენარჩუნება თითქოს მთლიანად სომხურ მოსახლეობას კაბალურ მდგომარეობაში აყენებდა. ახლა კი საერობო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებით იქმნებაო ამიერკავკასიის სამი ძირითადი ხალხის ერთობლივი თანამშრომლობის ხელსაყრელი პირობებიო. და გასაგებია, რომ განაგრძობს იგი, სომხები მიისწრაფიან შექმნან რაიონები თავიანთი ეროვნული უმრავლესობითო, სადაც მათ შეეძლებათ ისე უზრუნველყონ თავიანთი ინტერესები, როგორც უზრუნველყოფილია ქართველებისა და თათრების (აზერბაიჯანელების) ინტერესებიო. თურმე სომხებმა უნდა დაიცვან „სომეხი უმრავლესობის ინტერესები, რომლებიც უვარგისი ადმინისტრაციული დაყოფის გამო აღმოჩნდნენ უმცირესობის მდგომარეობაში“. „ჩვენ მზადა ვართ, — აცხადებს იგი, — შევურიგდეთ უმცირესობის მდგომარეობას (ალბათ ჭუთაისში ან ზუგდიდში — შ.თ.), იქ სადაც ნამდვილად შევადგენთ უმცირესობას და შერეულად ვცხოვრობთ ქართველებთან და თათრებთან ერთად, მაგრამ ჩვენ **არაგზით არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმას**, რომ მმართველ ხელისუფლებას სურს შეინარჩუნოს არსებული ადმინისტრაციული დაყოფა და სომხებს არ გვაძლევს შესაძლებლობას დავამტკიცოთ, რომ გვაქვს რიცხობრივი უმრავლესობის დიდი სომხური რაიონები, სადაც შეიძლება შეიქმნას მაზრები სომხური მოსახლეობის უმრავლესობით... მიუღებელია ხელოვნური უმცირესობის შექმნა, რაც ამჟამად მხოლოდ სომხებისათვისაა შექმნილი“ (იქვე, გვ. 174).

თურმე ა.შახატუნიანის „მეცნიერული აღმოჩენით“ ახალი „ადმინისტრაციული დაყოფა და ერობების შემოღება სომხურ რაიონებში სასარგებლოა ჩვენი მეზობლებისათვისაც. ვინაიდან **ამით თავიანთ ტერიტორიაზე იზრდება მათი ეროვნების პროცენტი.** მაგალითად, ამჟამად თბილისის გუბერნიაში ქართველები შეადგენენ მთელი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს, ზოგიერთ მაზრაში კი მათი რაოდენობა უმნიშვნელოა. ახალქალაქისა ბორჩალოსა და ბოლნისის მაზრის სომხური რაიონის გამოყოფის შემდეგ გუბერნიაში ქართველების ხვედრითი პროცენტი საგრძნობლად გაიზრდება“-ო (იქვე). ამასთან „არ შეიძლება უარვყოთ ისიც, რომ **თავიანთ ტერიტორიაზე სომეხთა კონსოლიდაცია**, სომეხთა უმრავლესობით საერობო მაზრების შექმნა, სომეხი გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საგრძნობლად შეასუსტებს სომეხთა ემიგრაციას თბილისში და ბაქოში, რითაც არა ნაკლებ დაინტერესებული არიან ჩვენი მეზობლები“-ო. (იქვე, გვ. 175).

ა.შახატუნიანი გადმოსცემს ამიერკავკასიაში სომხეთის ზეგანზე ალექსანდროპოლის ახალი სომხური აგრარული გუბერნიის შექმნის „ახალ პროექტს“, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო: 1. ელისავეტპოლის გუბერნიის ორ ნაწილად გაყოფა და ორი გუბერნიის: ელისავეტპოლისა და განჯის გუბერნიების შექმნა; 2. „განსაკუთრებული“ ალექსანდროპოლის გუბერნიის შექმნა — ყარსის ოლქის ორი ოკრუგის (ყარსისა და კაგიზმანის), თბილისის გუბერნიის ორი მაზრის (ახალქალაქისა და ბორჩალოს), ერევნის გუბერნიის (ალექსანდროპოლისა და ერევნის) მაზრების გაერთიანებით; 3. ერევნის გუბერნიის დატოვება არსებულ საზღვრებში (გარდა აღნიშნული ორი მაზრისა); 4. ბათუმის ოლქთან გაერთიანება ყარსის ოლქის ორი ოკრუგისა, რომლებიც ალექსანდროპოლის გუბერნიაში არ შევიდნენ და „გართულების“ შემთხვევაში ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შეერთება.

„განსაკუთრებული“ ალექსანდროპოლის გუბერნიას მიერთებულ ახალქალაქის მაზრას უნდა შეერთებოდა ბორჩალოს მაზრის თრიალეთის უბნის უმთავრესად სომხებით დასახლებული სამი — ნარდეევანის, აშკალინისა და ავრალინის სოფლები, აგრეთვე გორის მაზრის ბაკურიანის სასოფლო საზოგადოების ორი — კიზილ-კილისა (ტაბაწყური) და ბოლივის სოფლები.

ალექსანდროპოლის გუბერნიაში უნდა შესულიყო ბორჩალოს მაზრის ლორის უბანი, რომელშიც გაერთიანდებოდა ტერიტორიები: დასავლეთით — ოპრეტსა და შულავერამდე; ჩრდილოეთით — მდინარე ხრამამდე და აღმოსავლეთით — რკინიგზის გასწვრივ შინიხის სასოფლო საზოგადოებამდე.

ახალქალაქისა და ლორის სომეხი მოსახლეობის მიერთებასთან ერთად ალექსანდროპოლის გუბერნიასთან ქართველი მოსახლეობის დაუკითხავად ხელოვნურად მიერთებული ხდებოდა ამ ტერიტორიების მთელი მოსახლეობის 17 პროცენტი ქართველი (იქვე, გვ. 133).

„ინტერნაციონალისტი“ ა.შახატუნიანი დასძენს, რომ ჩვენ პროექტს **ქართველი ნაციონალისტები** არ ეთანხმებიანო. მათ მიაჩნიათ, რომ ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები ისტორიულად საქართველოს ეკუთვნოდაო. მაგრამ „ახალი თვითმმართველობითი ერთეულების შექმნისას, — განაგრძობს იგი, — ვხელმძღვანელობთ **არა ისტორიული, არამედ ეთნიკური მომენტებით.** შეგახსენებთ მხოლოდ ერთ მაგალითს. სომეხი ხალხი თავის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იძენდა და კარგავდა ძალიან ბევრ პროვინციებს. ამჟამად დანაწილებული სომხეთის ნახევარი, როგორც კავკასიაში, ისე თურქეთსა და ირანში დაკავებულია მუსულმანური უმრავლესობის მიერ და მათზე ჩვენ არ შეგვიძლია პრეტენზია განვაცხადოთ. თბილისის გუბერნიიდან გამოყოფილ სომხურ პროვინციებში თითქმის არაა ქართველები“. ვითომც მისი მტკიცებით სომხური მაზრების შექმნისას სომხები უკიდურესად კეთილსინდისიერები ვიყავითო. **შეუძ-**

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანონსის მაგიერ ყიამყრალი რედაქტორის შესახებ

პირველი გვერდიდან

ლებ „კატეგორიულად“, თუ იმ ტელევიზიაში მუშაობისას აქაფებული პირით რომ წამლავდი ეთერს იმის გამო?

შენს ვირეშმაკობას ბოლოს მოვუღებ, როცა იმ დოკუმენტაციას დაგიდებ წინ, ეს „ზვიადისტი“ კაცი ტელეეკრანიდან ყოველგვარი საბჭოურის ქება-დიდებაში რომ იყავი.

მეორე მაგალითი: მე არასოდეს დამიმალავს ჩემი პოზიცია, რომ არ მომწონდა გამსახურდიასდროინდელი პარლამენტი. უმრავლესობა — ზურგგამაგრებული კარვის ქალებით.

მე ვწერდი: არაფერს ვამბობ შემთხვევით ადამიანებზე, მაგრამ „ვერავინ დამაჯერებს, რომ ჩვენს დეპუტატ მწერლებს — მუხრან მაჭავარიანს, ნოდარ წულეისკირს, გურამ პეტრიაშვილს, ირინე ტალიაშვილს, ამირან კალაძეს არ შეუძლიათ მტყუანისა და მართლის გარჩევა.

არადა, ჩემის აზრით, ისინი სიცრუის, თვალში ნაცრის შეყრის, საკუთარი ხალხის მოტყუების გზას დაადგნენ“-მეთქი.

რეზო ურუშაძის კომენტარი: „როგორი დახასიათებაა და მერე რა დროს?! რომელ „ნასედკას“ შეეძლო ასეთი დიდი სამსახური გაეწია მოძალადე რეჟიმისათვის?!“ რ.ურუშაძე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს სიტყვები მოძალადე რეჟიმის დროს, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაიწერა. თითქოს ჩხუბის შემდეგ დავიწყე ხელების ქნევა და დამარცხებულ დეპუტატებს გავუბედე ის, რაც ზემოთ წერია. არა და, ამ ვირეშმაკა კაცმა კარგად უწყის, რომ ზემოხსენებული სიტყვები პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „დრონში“, 1991 წლის, თუ არ ვცდები, სექტემბერში ან ოქტომბერში, ანუ მაშინ, როცა აღნიშნული პირები ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და მათი ამგვარი დახასიათებით თავს თუ ვავნებდი, თორემ „მოძალადე რეჟიმს“ სამსახურს ვერ გავუწევდი...

ასეთი დემაგოგიით და მანიპულაციებით აცხობს ეს ყიამყრალი კაცი თავის პასკვილებს. თან რომ არ გამოვეპასუხო და არ ვამხილო მისი ფანდები, აქეთ იმუქრება, წყნარად იყავი, თორემ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო.

ამხანაგო რეზო, გადაუდებელი საქმეების გამო 2-3 კვირა შენთვის ვერ მოვიცლი, მერმე კი პირობას გაძლევ, მაგ წუმპიდან სააშკარაოზე ამოგათრევ და ისეთ სარკეში ჩაგახედებ, თავად რომ აყვირდები — არ გავჩენოდი დედასო!

P.S. ეს კი ანონსის მაგივრად გიძღვენი, რათა მოუცლელობის გამო ჩემი დუმილი, იმის დასტურად არ მიგეჩნია, მუქარამ შეაშინაო...

სარკეში ჩახედვამდე...

ნოდარ გრიგალაშვილი

ირაკლი ტუღუში: „ჩვენ ვიცავთ მათ, ვისაც საკუთარი უფლებების დაცვა სურთ“

სამოცდაათიოდე წლის წინ, ჩამოუყალიბებელი კაპიტალიზმიდან ჩამოყალიბებული კომუნიზმისაკენ დავიწყეთ სვლა... ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ისევ ჩამოსაყალიბებელ კაპიტალიზმამდე მივედით. კაპიტალიზმი კი ის ტკბილი კანფეტი როდია, პირში რომ ჩაგადნება. მას მკაცრი კანონები აქვს და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ერთის წუთით თუ თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

ძალა, რომელიც მშრომელი ადამიანის ინტერესების დასაცავადაა მოწოდებული განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში — პროფკავშირია. საქართველოშიც არსებობს პროფკავშირული ორგანიზაცია, რომლის რეალური ძალისა და ფუნქციის შესახებ ვთხოვეთ ესაუბრა საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი ტუღუშს.

— კომუნისტური პროფკავშირი რასაც წარმოადგენდა, ყველას კარგად მოეხსენება. რას წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს პროფკავშირი?

— კრედო ამ ორგანიზაციისა ადამიანთა, კერძოდ, შრომის გამქირავებელთა (ინტელექტუალური თუ ფიზიკური) დაცვაშია. იგი არის მექანიზმი, რომელსაც თავად ეს ადამიანები ქმნიან თავიანთი სახსრებითა, თავისივე თავის დასაცავად უკანონობისა და უსამართლობისაგან. კომუნისტური წყობის დროს შრომის დამქირავებელი სახელმწიფო იყო და ამის გამო ნაკლებად რეალური იყო სამართლის პოვნა. როდესაც მოისპო სახელმწიფო მონოპოლია საწარმოებზე და ყველაფერი კერძო საკუთრებაში გადავიდა, საჭირო და აუცილებელი გახდა დამცავი მექანიზმის ამუშავება, რადგან რამოდენიმე ათეული თუ ასეული ადამიანის ბედი რომელიმე ერთი ქარხნის, ფაბრიკის, სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელის გუნებაგანწყობაზე არ იყოს დამოკიდებული.

უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ბევრ დაწესებულებაში პროფკავშირული ორგანიზაცია არ არსებობს. უამრავი საწარმო თავად არ ფუნქციონირებს. ზოგან კომუნისტურ გადმონაშთად ჩათვალეს პროფკავშირი და გაუქმდა. იყო შემთხვევები, როდესაც ხელმძღვანელობამ განიზრახა კადრების შემცირება უკანონოდ, ხალხი, რომელიც ისეთ დაწესებულებაში მუშაობდა, სადაც პროფკავშირი აღარ ფუნქციონირებდა, აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია მათი დაცვა, ვინც ჩვენი წევრი არ არის.

— შეიქმნა უამრავი კერძო სტრუქტურა, ამასთან, გაჩნდა სამუშაო ადგილებიც. აქ მომუშავე ადამიანებს საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ თუ არა მიმართონ დახმარებისათვის პროფკავშირს?

— ჩვენ ვიცავთ მხოლოდ მათ, ვისაც საკუთარი უფლებების დაცვა სურთ, ე.ი. ვიცავთ მათ, ვინც წევრია პროფკავშირული ორგანიზაციისა. კერძო სტრუქტურებში თითქმის არსად არაა ჩამოყალიბებული პროფკავშირული ორგანიზაცია, რაც ნიშნავს, რომ მფლობელი თავისი გუნება-განწყობის მიხედვით მიიღებს, გაათავისუფლებს, შეუმცირებს, გაუზრდის ხელფასს, ერთი სიტყვით მფლობელი განუსაზღვრელი და შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობს. ეს კი დაუშვებელია! ყველა კერძო საწარმო-დაწესებულებაში აუცილებლად უნდა შეიქმნას დამცავი მექანიზმი. რაც შეეხება მათ, ვინც არ არის პროფკავშირის წევრი, ჩვენ ვერ დავიცავთ მათ ინტერესებს.

საზღვარგარეთ პროფკავშირს უდიდესი ძალა აქვს. ეს არის ადამიანთა ორგანიზებული თავდაცვა უსამართლობისაგან, რის გამოც უწევენ ანგარიშს.

— რა ფინანსური სახსრებით არსებობს თქვენი ორგანიზაცია?

— წავიდა ის დრო, როდესაც პროფკავშირს უზარმაზარი თანხები გაეჩნდა. იმ შემოსავლიდან მცირედი ნაწილი მაინც ხმარდებოდა მოსახლეობას. პროფკავშირი იხდიდა დასასვენებელი საგზურების თანხებს, დღესაც ძველი ინერციით გვთხოვენ ხოლმე საგზურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ორგანიზაციას საკუთარი თავის შენახვაც უჭირს, რადგან მხოლოდ საწევრო გადასახადებით და ჩვენი შენობის გაქირავებით ვარსებობთ, თუმცა, ეს უკანასკნელი იმდენად მცირეა, რომ კომუნალურ გადასახადებს ფარავს მხოლოდ. ჩვენ არანაირი ფინანსური დახმარების გაწევა არ ძალგვიძს. ერთადერთი დახმარება, რაც ჩვენ შეგვიძლია, ეს არის ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც უცხოელი კოლეგები გვიგზავნიან.

— რადგან უცხოელ კოლეგებზე ჩამოვარდა საუბარი, რა ურთიერთობები გაქვთ მათთან?

— ჩვენ, ისევე რორგორც ყველა სხვამ, კომუნისტური რეჟიმის დარღვევის შემდეგ მოვახერხეთ მათთან უშუალო კონტაქტი. ისინი დაინტერესებულნი არიან იმით, რომ გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება. ვიყავით მიწვეულნი შეკრებებზე. გაოცებული დავრჩი მათი ურთიერთდამოკიდებულებით. ჩვენ იმ ორგანიზებულობისაგან, რაც მათ აქვთ, ძალზე შორს ვართ, მაგრამ იმედია მომავლისა.

— ყოველივე შეიცვალა ჩვენს გარშემო. მოხდა თუ არა ცვლილებები თქვენთან?

— სტრუქტურულად პროფკავშირი არ შეცვლილა, თაობათა ცვლას კი ჩვენი ორგანიზაციაც მტკივნეულად განიცდის. იმ ადამიანთა ფსიქოლოგია, რომელნიც კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მუშაობდნენ, პრაქტიკულად შეუძლებელია გარდაიქმნას. ჩვენთანაც უამრავია ასეთი ხალხი. აქ თავმოყრილნი არიან ყოფილი რაიკომის მდივნები, სხვა ნომენკლატურული მუშაკები, ისინი ჯერ კიდევ ძველი სტერეოტიპებით აზროვნებენ, მაგრამ ისტორიის კანონზომიერებას ვერსად გაექცევი — მომავალი ახალი თაობისაა.

— ღებულობთ თუ არა მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობაში?

— გარკვეულწილად, ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას საკომიტეტო მოსმენებში. ვცდილობთ შევიტანოთ კორექტურა კანონპროექტის ჩამოყალიბებისას. თუმცა, ეს ნაკლებად ნაყოფიერია. სამწუხაროდ, მაგალითად კანონი გაკოტრების შესახებ. მისი მიღებით საქართველოს თითქმის ყველა საწარმო გაკოტრებული აღმოჩნდება. ნუთუ საკმარისი არ არის მეანაბრეთა მაგალითი, რომელნიც მოტყუებულნი დარჩნენ. მათ არ უნდა დაემატონ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი დანაზოგით შეიძინეს საწარმოთა საკონტროლო პაკეტები. ჩვენ პოლიტიკისაგან შორს ვართ, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ ჩვენი მთავრობა ლიბერალური პოლიტიკის გზას ადგას და ეს გზა კი ყველაზე დაუცველი ფენებისთვისაა მომაკვდინებელი. ერთ-ერთი თანამდებობის პირმა, ამ საკითხზე საუბრისას, ასეთი აზრი გამოთქვა: „მთელი საქართველო „მერსედესებით“ დადის, განა მათ უჭირთო“? დიახ, ასე შორს არიან ზოგიერთნი მოწყვეტილნი რეალობას.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ პროფკავშირი იცავს მათ, ვინც გაერთიანებულია ამ ორგანიზაციაში. როგორ იცავს იგი პროფესორ-მასწავლებელთა უფლებებს, ისინი ხომ ყველაზე უუფლებონი და უქონელნი არიან?

— რამდენიც არ უნდა ვუკიჟინოთ განათლების მინისტრს, მისცეს ასი ლარი ხელფასი მასწავლებელს, იგი ამას ვერ შეძლებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტი არ არის საკმარისი. თუმცა, იგი დანიშნულებისამებრ რომ ნაწილდებოდეს, ცოტას მაინც წაეშველებოდა ჩვენი საზოგადოების ამ ფენას, მაგრამ რადგან ეს ასე არა, ჩვენ მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შემოვიფარგლებით. თუ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან არაა, ხომ არის შესაძლებელი ადგილობრივი მმართველობის გონივრული ქმედების შედეგად განათლების სისტემას ცოტა მაინც ეშველოს. ამის მაგალითად ქუთაისის მოყვანა შეგვიძლია.

მე მიმაჩნია, რომ ჯანმრთელობის საკითხი უპირველესია. სახელმწიფოს, ისევე როგორც განათლების სფეროში, არ შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ჯანდაცვის სისტემა და ამიტომაც გახდა იგი ფასიანი. რა, უნდა ჰქნას მოქალაქემ მაშინ, როდესაც ოპერაცია ხუთასი ლარი და ზოგჯერ მეტიც ღირს? ან რაიმე უნდა გაყიდოს (თუ კიდევ დარჩა გასაყიდი) ან განწირულია და ბედსაა მინდობილი.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ დაზღვევის ფონდი. ერთი წლის განმავლობაში მოქალაქე გადაიხდის ოცდარვა ლარს და შემდგომში ამის საფასურად მას უფასო სამედიცინო დახმარება ექნება. ასევე უნდა იზრუნონ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა მუშა-მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევაზე.

— სოციალური დაზღვევის ფონდი განა თქვენს სტრუქტურაში არ შედის?

— არა. სოციალური დაზღვევა შედიოდა ჩვენს სფეროში, მაგრამ სახელმწიფომ მონოპოლია ამაზეც აიღო და სად, რას და როგორ ხმარდება ხელფასებიდან დაკავებული თანხები, არავინ იცის. ერთი კი ცხადია: ყველაფერს — სოციალური უზრუნველყოფის გარდა.

— ეხმარება თუ არა საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები იმ ადამიანებს, რომელნიც საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილებად იქცნენ?

— როგორც შეგვიძლია. ის ხალხი, ვინც ჩვენს სფეროში მუშაობდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ძირითადში დასაქმებულნი არიან ჩვენთან. ჩვენი კოლეგების მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება ნაწილდება ლტოლვილებზე. ამ ზაფხულს ბავშვები გავამგზავრეთ დასასვენებლად ჩვენი სახსრებით. მთელი საკურორტო მეურნეობა, რომელიც პროფკავშირებს ეკუთვნოდა, ლტოლვილთათვისაა გადაცემული თავშესაფრად. ყოველივე ეს ძალიან მცირეა, მაგრამ ვაკეთებს იმას, რაც ჩვენს ძალებს არ აღემატება.

— რა არის საჭირო, რომ საქართველოს პროფკავშირი ძლიერი იყოს?

— პროფკავშირი არსად არ უყვართ, მაგრამ თუ იგი ძლიერია — ანგარიშგასაწევია. ძლიერი კი მაშინ იქნება, როდესაც საქართველოს ეკონომიკა გაძლიერდება, როდესაც ადამიანები მოიცლიან იფიქრონ საკუთარი უფლებების დაცვაზე. ყოველივე ეს კი დამოკიდებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე. ის კრედიტები, რომელიც გაიცემა არადანიშნულებისამებრ, ასევე არადანიშნულებისამებრ დახარჯული ფული ბიუჯეტიდან, ყოველივე ეს ხალხის მხრებს აწვება. სანამ ეს ასე იქნება, ეკონომიკას გაძლიერება არ უწერია და ადამიანი, რომელიც დამშეული შვილების გამოკვებაზე ფიქრობს, საკუთარი უფლებების დაცვაზე ვერ იფიქრებს.

ესაუბრა
ანა ჯუღელი

«ჯავახკას» სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი და ა. შახატუნიანის «მეცნიერული აღმოჩენები»

მეოთხე გვერდიდან

ლებელია დავასახელოთ მიწის ნაგლეჯი ან უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი, რომელიც სომხური არაა და სომხურ რაიონებშია ჩართული. ჩვენ შევეხეთ სომეხთა მხოლოდ უმრავლესობას. ქართული და თათრულ რაიონებში უმცირესობის მდგომარეობაში დავტოვეთ ათეული და ათასობით სომეხიო“ (იქვე, გვ. 176).

ა.შახატუნიანის სომხური ულტრაშოვინიზმით გაჟღენთილი წიგნაკი მთავრდება ასეთი კატეგორიული დასკვნით: „სომხურ საზოგადოებრიობას ადმინისტრაციული გადანაწილება მიაჩნია მორიგ გადაუდებელ საკითხად და მოუთმენლად ელის მის გადაწყვეტას“-ო (იხ. გვ. 206).

ზოგიერთ სომეხ მეცნიერთა და შოვინისტთა ასეთი ყალბი ანტიქართული „შრომებით“ და „წიგნაკებით მოწამლული ჯავახეთის სომხების დიდ უმრავლესობას (და არა მარტო ჯავახეთის) მიაჩნია, რომ ჯავახეთი თითქოსდა ისტორიულად ძირძველი სომხური მიწაა და შემთხვევით აღმოჩნდა საქართველოს ფარგლებშიო.

როგორც ჩანს, ამჟამად საქართველოს ტერიტორიის შახატუნიანური, ახალი ადმინისტრაციული გადანაწილება ჯავახეთის სომხურმა, შოვინისტურმა და ექსტრემისტულმა, ანტიქართულმა ორგანიზაციებმა ითავეს. ამ მიზნით იყენებენ ყველა ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ მეთოდსა და საშუალებას. ჯავახეთში, არალეგალურად მოქმედმა, რომელიღაც სომხურმა დაშნაკურმა ორგანიზაციამ, ყარაბაღის კონფლიქტის წინ, ახალქალაქში გაავრცელა სომხურ ენაზე პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „სომხებო! კმარა მოთმინება. საჭიროა ამბოხება გაერთიანებული ძალით. ერთიანი ძალით მოითხოვეთ ჯავახეთი, ყარაბაღი და ნახჭევანი. მოითხოვეთ თქვენ, ახალქალაქის სომხებო. ნუ დაუშვებთ სომხურ მიწებს უცხოელთა ხელში. აასრულეთ ჩვენი წინაპრების ანდერძი, შეუერთდით მშობლიურ სომხეთს“.

ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების და მოძრაობების საკოორდინაციო საბჭომ ჯერ ახალქალაქის სომხურ მოსახლეობაში რეფერენდუმი მოაწყო საქართველოს ფარგლებში ჯავახეთის ავტონომიის თაობაზე, ხოლო შემდეგ პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების წინ, სახელმწიფო მეთაურის სახელზე რუსულად გამოგზავნილ წერილში ოფიციალურად დააფიქსირა სომეხ შოვინისტთა ტერიტორიული პრეტენზია — მიენიჭოს ჯავახეთს ცალკე ფედერაციის სუბიექტის სტატუსი „მმართველობის განსაკუთრებული ფორმით“.

ჯავახეთის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები საერთოდ და განსაკუთრებით „ჯავახკა“ ეკონომიკური და სოციალური სიძნელეებით შენიღბული ექსტრემისტული, ანტიქართული ორგანიზაციაა.

შოთა თეთვაძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფრანგული პრესიდან

საფრანგეთის პრეზიდენტის ახალი საზრუნავი



„უკვე საათი და თხუთმეტი წუთია ბაბუა ვარ! ასე რომ, მაპატიებთ, თუკი დიდხანს ვერ დავრჩები თქვენთან. აი, კიდევ ერთ ჭიქას დავლევ და საავადმყოფოში გავიქცევი“ — თქვა პრეზიდენტმა და საკრებულო დატოვა. ეს სცენა ელისეს სასახლეში გათამაშდა, 22 მარტს, ნაშუადღევს, სახელმწიფო ჯილდოების საზეიმო გადაცემის დროს. ლიდი ჟერბომ, პრეზიდენტის პრეს-ატაშემ, სამადლობელი სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო. პრეზიდენტი მართლაც რომ „გაშპა-გავარდა“, ახალგაზრდა მამასავით აღტყინებული და გახარებული. მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ბაბუა გახდა, პრეზიდენტი ადგილს ვეღარ პოულობდა. ერთი სული ჰქონდა, სანამ თავს დაიძვრენდა ცერემონიალისაგან. და აი, იგი სამშობიარო სახლისკენ მიიჩქარის, რათა პირველად ინახულოს მის ცხოვრებაში ეს-ეს არის შემოჭრილი ახალი ადამიანი, ჩვილი ბიჭი, რომელიც 4 კილოგრამს იწონის, მისი უმცროსი ქალიშვილის, კლოდის ვაჟიშვილი. სხვათაშორის, სწორედ თავის უმცროს ქალიშვილს უნდა უმადლოდეს შირაქი დიდ წილად პრეზიდენტობას. პრეზიდენტი, როგორც ყველა ჩვეულებრივი მამა თუ ბაბუა, მიუახლოვდება შვილის საწოლს, ლოყაზე ეამბორება და მოკრძალებით თხოვს ხელში აიყვანოს შვილიშვილი. ეს ჟესტი იქნება მაცნე იმისა, რომ ბავშვი შირაქის ოჯახისა და კლანის წევრი ხდება.

იმავე საღამოს, ელისეს სასახლეში, ოფიციალური წვეულების დროს, სტუმრები ჩუმად უთვალთვალებენ პრეზიდენტს. მან ცოტა დაიგვიანა, მაგრამ როდესაც სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა დარბაზში, ყველამ აღნიშნა მისი სიხარულისაგან გაბადრული სახე და ისიც, რომ პრეზიდენტი თავისთვის ღიღინებდა. იგი იმდენად იყო აღტყინებული და სიხარულით სავსე, რომ არც კი უსმენდა, რას ეუბნებოდნენ, ან რას ეკითხებოდნენ. იგი ხან ერთ, ხან მეორე სტუმართან მიდიოდა და ყველას ერთსა და იმავეს უმეორებდა: „იცით, შესანიშნავი რამაა, აი, თქვენც რომ გახდებით ბაბუა...“ პრეზიდენტმა ყველასთვის გამონახა საალერსო სიტყვა, მაგრამ სადილი მაინც განსაზღვრულ დროზე ადრე დაასრულა.

ერთი კვირით ადრე, რეუნიონში მოგზაურობის დროს, ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც დღე-დღეზე ელოდებოდა მეუღლის მოლოგინებას, პრეზიდენტს პარიზში დაბრუნების ნებართვა სთხოვა. „მე კარგად მესმის თქვენი, ვიცი რა ძნელია ლოდინი. მეც ხომ მსგავს მდგომარეობაში ვარ“, — უპასუხა პრეზიდენტმა და თანაგრძნობით მხარზე ხელი დაადო „კოლეგას“.

პრეზიდენტთან ერთად კიდევ ერთი ადამიანი ღელავს. ეს ოლიმპიური ჩემპიონი ტიერი რეია. ტიერი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონიცაა, მაგრამ რაც მთავარია, იგი მომავალი მამაა. ტიერის თვით ყველაზე საპასუხიმგებლო შეხვედრის წინაც არ უღელვია ასე. კლოდ შირაქს იგი პირველად საარჩევნო მიტინგზე შეხვდა. 20 წლის ასაკში, ჯერ კიდევ წინა დღით უცნობი ძიუდოისტი მსოფლიოს ჩემპიონი ხდება. მუდამ საქმიანი, მუდამ სადღაც მოჩქარე და მოუხელთებელი ტიერი ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის მთავარი მრჩეველია. ასეთივე პოსტი უკავია მას პარიზის მუნიციპალიტეტში. სწორედ ტიერი რეიმ მოამზადა საფრანგეთის ნაკრები ატლანტის ოლიმპიური თამაშებისათვის. იგი აღიარებული ლიდერი და იდეალური მეგობარია. მას უყვარს კინო და ცოტა მსახიობობს კიდეც. ამასთან ერთად, იგი „კანალ+“-ის სპორტული მიმომხილველია.

ახლა კი, მესამე მოქმედ პირს, კლოდ შირაქსაც მივხედოთ. როდესაც იგი ტიერის შეხვდა, მის ცხოვრებაში უკვე კარგა ხანია განსაკუთრებული ადგილი ეკავა ერთ მამაკაცს, ათლეტს, რომელსაც კლოდი თავდაუზოგავად მეურვეობდა წლების მანძილზე. ეს იყო „ჟაკი“ (ასე უწოდებს კლოდი მამას, თუმცა ზოგჯერ, უბრალოდ, „შირაქადაც“ მოიხსენიებს). კლოდის მიზანი იყო ტახტზე აეყვანა მამა. კლოდმა საზოგადოებრივ ურთიერთობათა და რეკლამის უმაღლესი სკოლა დაამთავრა და სარეკლამო „ნაწარმიც“ მყისვე იპოვა: საკუთარი მამა. აბა, ამაზე კარგს, სხვას რას ნახავდა? ქალიშვილს ბევრი საქმე გამოუჩნდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სათანადო „იმიჯის“ შექმნა: კლოდმა სათვალეების ტარება აუკრძალა მამას, ძველი ყაიდის პერანგები კი თანამედროვე სტილისამ შეცვალა. კლოდის რჩევით, შირაქი სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდება პოპულარულ პიროვნებებს, მწერლებსა და მსახიობებს. მის დაბადების დღეზე სტუმართა შორის არიან ჯონი ჰოლიდეი, დელონი და ბელმონდო.

ოფიციალური შეხვედრების დროს კლოდი მუდამ მამის გვერდითაა. სწორედ მან დააახლოვა იგი ფრანგ ახალგაზრდებს, აუხილა რა მამას თვალები ახალგაზრდობის მნიშვნელოვან როლზე საზოგადოების ცხოვრებაში. 1987 წელს კლოდის წყალობით, ფრანგები აღმოაჩენენ, რომ შირაქი მომღერალ მადონას ერთგული თაყვანისმცემელია. მამა ბრმად ენდობა ქალიშვილს და ყველა მის რჩევას უყოყმანოდ ეთანხმება. ერთხანობა, როდესაც შირაქის რეიტინგი საგრძნობლად დაეცა, კლოდმა უერთგულესი ადამიანების ჯგუფი შემოიკრიბა გარშემო. ამ დროს, ყველა სინანულით და თანაგრძნობით შესცქეროდა კლოდს. და უცებ, ჰოი, საოცრებავ, რეიტინგმა აღმასვლა იწყო. კლოდის ჯაფას ამაოდ არ ჩაუვლია!

ისე, ვინც ადრე ერიდებოდა შირაქს და მის „გვარდიას“, ახლა კლოდს სთხოვს შირაქისტთა რიგებში მიიღებს. ქალიშვილი კი [illegible] ვის ეუბნება უარს.

მამის გამარჯვების შემდეგ, კლოდმა ლოს-ანჟელესში გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ ტიერისთან დაახლოებამ გეგმები ჩაუშალა. ესეც რომ არ იყოს, შირაქსაც გაუჭირდება ქალიშვილის გარეშე. ჯერ კიდევ არჩევნებამდე, შირაქი გაფაციცებით უთვალთვალებდა ქალიშვილს, მუდამ იცოდა სად ან ვისთაან ატარებდა იგი საღამოს. ასეთი სიფხიზლე საფრანგეთის უშიშროების სამსახურსაც შეშურდებოდა. ასე და ამრიგად, მშვიდობით, ამერიკა!

მამა-შვილი ყოველდღე ხვდება ერთმანეთს, ტელეფონიც წამდაუწუმ რეკავს. მიღება იქნება თუ კაბინეტის სხდომა, პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, თვალებით ქალიშვილს ეძებს. აგერ-ისიც, ე.ი. ყველაფერი რიგზეა და შირაქიც მშვიდდება. ქალიშვილიც ანიშნებს „ნურაფრის გეშინია, შენს გვერდით ვარო“. ზოგჯერ თვალს ჩაუკრავს „კარგია, ასე გააგრძელეო“, ხან ნიკაპთან მიიტანს ხელს „ჰალსტუხი გაისწორეო“, ზოგჯერ კი ტუჩებთან მიიდებს თითს „ახლა კი გეყოფა, მეტს ნურაფერს იტყვიო“ და ასე და ამრიგად. კლოდ შირაქს უზადო პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდა. „სუფთა მამამისია, ხშირად ხუმრობს კლოდის დედა — პატარა რომ იყო, ადგილზე ვერ დააკავებდი, საწერ მაგიდასთანაც ძალით და ჩხუბით ვსვამდით“. მაგრამ ბავშვს რას ერჩი, თუკი იგი საკუთარი მამის ზუსტი ასლია? მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ მამამ უმცროსი ქალიშვილი 14 წლის ასაკში „აღმოაჩინა“. აქამდე კი, მთელი მისი ყურადღება ავადმყოფ უფროს ქალიშვილზე იყო გადატანილი. კლოდი ყვება: „ამ ასაკამდე ჩვენი ურთიერთობა „გამარჯობა-გაგიმარჯოთი“ შემოიფარგლებოდა“. შემდეგ კი კლოდმა „ხელში აიყვანა“ მამა. „პირველად ვხედავ, რომ ორი ადამიანი ასე უგებდეს ერთმანეთს“— ამბობს ქალბატონი შირაქი.

ახალშობილი ჩვილი კიდევ უფრო გააღრმავებს ამ სიახლოვეს. ეს პირველი ბიჭია გვარში კლოდ შირაქის შემდეგ. კლოდი მოუთმენლად ელოდა პირმშოს დაბადებას. მას მუდამ შურდა ფეხმძიმე ქალებისა. ახლა იგი მზადაა კიდევ ორი შვილი იყოლიოს. „ამაზე მნიშვნელოვანი ცხოვრებაში არაფერია“, — აცხადებს ახალგაზრდა ქალი. კლოდს მშვიდი ორსულობა ჰქონდა. მამა და ტიერი ღელავდნენ. კლოდი კი ორთავეს ამშვიდებდა. ორსულობის პირველივე დღეებში კლოდმა თავი ანება სიგარეტს, მაგრამ სამსახურში ისევ გვიანობამდე რჩებოდა. ბერნადეტ შირაქი 15 მარტს ელოდა შვილიშვილის დაბადებას. „ნუ ღელავთ, — უთხრა მას მისმა მეგობარმა ქალმა, — აი, ნახავთ, კლოდი მამის დაბრუნებას დაელოდება“. მომავალმა ბებიამ გაიცინა: — „კლოდისაგან ყველაფერი მოსალოდნელია“. აკი, არც შემცდარა. სწორედ ამ დროს კლოდი ტიერისთან ერთად რესტორანში გემრიელ კერძებს მიირთმევდა. მაგიდასთან ერთი კიდეც გაიხუმრა, შეიძლება აქვე მოვილოგინოო. მაგრამ მაინც რვა დღე ითმინა, მანამ, სანამ პრეზიდენტი საფრანგეთში არ დაბრუნდა. კიდევ მეტი, ბავშვი კვირის ბოლოს დაიბადა, იმ დროს, როცა ბაბუა შედარებით თავისუფალი იყო. დღეს საფრანგეთის პრეზიდენტს ახალი საზრუნავი გაუჩნდა, თუმცა კი სასიხარულო და საამაყო: ბაბუა — პრეზიდენტი ერთბაშად ტოვებს სამუშაო ოთახს, ელისეს სასახლის საბავშვო ოთახში ფეხაკრებით შედის და, დიდხანს ღიმილით დაჰყურებს პატარა მარტენს.

(„პარი-მატჩი“, 1996)

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორის გვერდი — წუთშესვენება

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.

1993 წლის ივლისის დასაწყისში სოხუმში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მოხუცები, ქალები და ბავშვები სასწრაფოდ გაჰყავთ ქალაქიდან. არ ყოფნით თვითმფრინავები და გატანჯულთ რამდენიმე დღე აეროპორტში უწევთ ლოდინი.

სოხუმში გვიან ღამით ჩასულებს, მე და ჩემს მეგობრებს, ზაურ კალანდიასა და ნოდარ გრიგალაშვილს, აეროპორტის წინ „იკარუსის" მარკის ავტობუსი დაგვხვდა. მძღოლი მოვიკითხეთ, რომ ქალაქამდე წაყვანა გვეთხოვა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მძღოლად ზუგდიდელი, ჩემი ბავშვობის მეგობარი ბაჩუკი ბუკია რომ წარმოგვიდგა: მე-4 ღამეა ვმორიგეობ, საერთოდ არ მძინია და მეშინია საჭესთან არ ჩამთვლიმოსო — გვითხრა. ვიცოდი სოხუმში ცხოვრობდა და ოჯახი მოვიკითხე. აღფრთოვანებული მომიყვა, როგორ გაიყვანა სამშვიდობოს რამდენიმე დღის წინ ოჯახი (ამ აღფრთოვანების მიზეზს იქ, მის ადგილზე, იმჟამად მყოფი კაცი თუ წარმოიდგენს მხოლოდ). შემდეგ მოგვიბოდიშა, დილამდე უნდა ვიმორიგეო, საკადრისად ვერ გხვდებით და მაპატიეთო, სასურველ მისამართზე მისულები ჩავდივართ ავტობუსიდან. შევხედე ბაჩუკის სევდიან თვალებს და რამოდენიმე ეპიზოდი მომაგონდა მისი ცხოვრებიდან. ბაჩუკი ტოლ-მეგობრებში იუმორის განსაკუთრებული გრძნობით გამოირჩეოდა, ცოტა ენასაც „უკიდებს", რაც მის ნებისმიერ გამონათქვამს თავისებურ სილამაზეს ანიჭებს. მოვუყევი ჩემს მეგობრებს, რაც მომაგონდა, მათი რეაქცია მაბედვინებს ამ ეპიზოდების საჯაროდ გამოქვეყნებას. თავად ბაჩუკს, ბოდიშს ვუხდი, წინასწარ რომ ვერ ვუთანხმებ განზრახულს.

ჩუქჩა — მონადირეს ეკითხებიან:

— რომელია ყველაზე საშინელი ფრინველი?

— დელტაპლანი.

— რატომ?

— ჩუქჩამ სამჯერ ესროლა და ჯერჯერობით მარტო ადამიანი ჩამოაგდო.

***

— იცით, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ჩემი ქმარი ერთ საათში დაბრუნდება.

— მერე ჩვენ ხომ არაფერს ისეთს არ ვაკეთებთ...

— სწორედ რომ!.. დრო კი ცოტა გვრჩება...

***

მიმდინარეობს განქორწინების პროცესი. მოსამართლის შეკითხვაზე: რატომ იყრებით? ქმარი პასუხობს:

— ის მე არ შემეფერება.

ცოლის დეიდა:

[illegible] კი არა.

***

ზემდეგმა გამოიძახა ჯარისკაცი და ეკითხება:

— რა არის, კანაპლევ! რა ნარკოტიკული გვარი გაქვს?

— მე თვითონაც არ ვიცი, ჰაშიშ მარიხუანოვიჩ...

***

შტირლიცმა საკანში გამოიღვიძა. წევს და ვერ გაუხსენებია, რა მოხდა. „კარგი", — ფიქრობს, შემოვლენ ჩვენები, ვეტყვი, რომ მე ისაევი ვარ, შემოვლენ გერმანელები, ვეტყვი, რომ შტირლიცი ვარ".

შემოდის მილიციონერი და ეუბნება:

— კარგად კი გამოთვერით, წუხელ, ამხანაგო ტიხონოვო...

***

მატარებლით მგზავრობს ორი რუსი — მამა და შვილი, მათთან ერთად არის ზანგი. შვილი ეუბნება მამას: „მამი, შეხედე, მაიმუნი". ზანგი აღშფოთდა და მამას ეუბნება: უთხარით თქვენს შვილს, რომ შეურაცხყოფა არ მომაყენოს"... „მამა", — განაგრძო შვილმა — შეხედე, ლაპარაკობს კიდეც".

***

როცა ამერიკელები მთვარეზე დასხდნენ, ბრეჟნევმა გამოიძახა კრემლში საბჭოთა კოსმონავტები და უთხრა:

— ამერიკელებს უნდა გადავუჯოკროთ, ჩვენ გადავწყვიტეთ, თქვენ მზეზე გაგიშვათ.

კოსმონავტები აღელდნენ:

— მზად ვართ შევასრულოთ თქვენი ნებისმიერი დავალება, მაგრამ ჩვენ ხომ დავიწვებით...

— თქვენ რა, ფიქრობთ, რომ ხელისუფლებაში სულელები სხედან? გაფრინდით ღამით!..

ყო-ო-ოჩაღ მა-ა-ამაშენი

ბაჩუკი ერთ ხანს ზუგდიდი-სოხუმის სვლაგეზის ავტობუსზე მუშაობდა მძღოლად. მოგეხსენებათ, მძღოლი ყოველთვის დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი მგზავრი გადაიყვანოს, შემოსავალი იქით იყოს და ცარიელი ხომ არ ივლის. ერთ მშვენიერ დღეს მორიგი რეისით სოხუმისკენ მიმავალ ბაჩუკის ავტობუსში, რომელიღაც სოფელთან თეთრ, ფართოდ გაშლილ კაბაში გამოწყობილი გოგონა ამოსულა. დადგა თურმე წინა კარებთან, მძღოლის სიახლოვეს და არ მომეკაროთ, არ გამეკაროთო! — იძახა. გადაკეტა უკან გასასვლელი გზა, ავტობუსი კი ნახევრად ცარიელია. ბაჩუკი ბუნებით წყნარი, აუღელვებელი კაცია; მაგრამ მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, მიუბრუნდა უცხო ქალიშვილს და უთხრა: [illegible] ტი ხო-ო-ომ არა ხართ, მო-ო-კარებით რომ გა-ა-აფუჭდეთო? „დიახ ბატონო, ტორტი ვარო" — არ დაიბნა თურმე უცხო ქალიშვილი. ბაჩუკიმ ჩაიღიმა და გადაულაპარაკა: ყო-ო-ჩაღ მა-ა-ამაშენი, ორი კვე-ე-ერცხით რა-ა-ამხელა ტო-ორტი გაუკეთებიაო.

კაპასი ქალი და ბაჩუკი

ერთხელ, რაღაც შემთხვევაზე წასასვლელად, მოქალაქეთა ჯგუფს ავტობუსი გამოუწერია, დაკვეთაზე ბაჩუკი მისულა თავისი ავტობუსით, ჩაისვა ხალხი და გაუდგა გზას ქუთაისისკენ. სადღაც შუა გზაზე გაჩერდა ავტობუსი; წყლის გამაციებელი სისტემის ღვედი გაწყდაო. ამ „იკარუსსაც" თურმე ბაჩუკის ჭირად ოცამდე სხვადასხვა ზომის ღვედი ჰქონია და იმ გაწყვეტილის შესაცვლელი არ აღმოაჩნდა მაინცდამაინც. გადმოვიდა ხალხი, რა გვეშველებაო, ყველა ჯავრობს, მაგრამ მათში ერთი ქალი აქტიურობს ყველაზე უფრო, აქტიურობს კი არა — კაპასობს. რა არიან ეს მძღოლები, როგორი უპასუხისმგებლოები, როგორ შეიძლება ამხელა მანძილზე წახვიდე და „ზაპასი" ღვედი არ გქონდესო. ითმინა და ითმინა ისედაც ნერვებდაწყვეტილმა ბაჩუკმა მისი მისამართით კაპასი ქალისაგან ნასროლი „ეპითეტები". ბოლოს გულმა ველარ გაუძლო, მივიდა მასთან და ჰკითხა: ქა-ა-ალბა-ატონო, თქვენ ტრუ-უ-უს-ი-იკი თუ გა-ა-აცვიათ? დაბნეულმა ქალმა, დიახ მაცვიაო, უპასუხა. „მე-ე-რე რო-ო-დის იყო „ზა-ა-აპასი" რე-ე-ეზინი ჯი-ი-იბით დაგქონდაო", ნიშნის მოგებით მიუგო ბაჩუკმა.

ბაჩუკი და მისი მეზობელი

ბაჩუკის ქუჩაზე, ზუგდიდში ერთი მისი ტოლი მეზობლის ბიჭი ცხოვრობდა, ისიც ენას უკიდებდა და მათი შეხვედრა ერთმანეთის გამასხარავებით იყო გამორჩეული, ერთგვარი შეჯიბრი კი ჰქონდათ — ვის უფრო ნაკლებად დაებმეოდა ენა საუბარში. ერთ დღეს, დილით ბაჩუკი გამოვიდა თავისი სახლის ღია აივანზე, ხედავს ის მეზობელი მოდის ქუჩაზე, დაინახა მან ბაჩუკი და შორიდან დაუძახა: „გამარჯობა ბაჩუკი" და შეუჩერებლად სამი ოთხი წინადადება მოაყოლა მოკითხვით, ისე რომ ერთხელაც არ წაბორძიკებულა. გადახედა ზემოდან მისი „მოწინააღმდეგის" ამ „წარმატებით" გაოცებულმა ბაჩუკმა და დაუძახა: „რა ი-ი-იყო შე-ე-ე შო-ო-ბელძა-ა-აღლო, ტაა-ოოტი ხო-ომ არ გი-ი-ჭა-მია ამ დი-ილაადრიანო!

მ. სახურია

ჭერილი სიღნაღიდან

«რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია»

— გაიგე, ახლა მალე კომერციული დენი გვექნება თუ თ ვეში 6 ლარს გადაიხდითო?

— იცოცხლე, სინათლე კარგი რამაა, მაგრამ სად ვიშოვო ექვსი ლარი, ხეზე მოვკრიფო?

— პენსია ხომ გაქვს?

— პენსია პურისფულად არ მყოფნის და ელექტროენერგიაში რომ გადავიხადო, შიმშილით ხომ სული გამძვრება, შე კაცო.

— შენ მართალი ხარ.

ასე იყო თუ ისე, დიდი ხნის სიბნელისა და ბრმა-ყრუობის შემდეგ რაიონი განათდა და გაჩახჩახებული ქალაქიც საამოდ მოეფინა ადამიანების გულს. ვინ რადიოს ეცა, ვინ ტელევიზორი ჩართო — იქნებ რაიმე გავიგოთ ამ ქვეყნისა — საქართველოში ვცხოვრობთ ისევ თუ საქართველოდ წოდებულ ქვეყანაში, სადაც ქართველები სანთლით საძებარია უკვე. ჩვენი ხელისუფლების ინტერნაციონალური ბუნებაც ხომ მოგეხსენებათ — მობრძანდით ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხო, დასახლდით, იცხოვრეთ, ისწავლეთ, აშენეთ სადაც გნებავთ და როგორც გნებავთ. აფხაზეთი გინდათ, სამაჩაბლო, ჯავახეთი, მესხეთი თუ კახეთი. სადაც მოისურვებთ, ოღონდ ჩვენ ნუ გაგვყრით ჩვენი მამა-პაპის მიწა-წყლიდან.

ბოდიშს კი მოვითხოვ, სიტყვა სხვაგან გამექცა. მაგრამ საწუხარი იმდენია საქართველოში, რომელი უფრო მეტად იდარდო აღარ იცი.

ყველანაირად შეჭირვებულ ხალხს მაინც ყოფითი პრობლემებისთვის ვერ დაუღწევია თავი. შიმშილსა და ყოველგვარ სილატაკეს სიბნელეც რომ დაემატება, რომელი ეროვნული პრობლემებისათვის ბრძოლას მოსთხოვ მათ?

ჰოდა, განათდა რაიონი და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ. ელექტროენერგია შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისში. შემდეგ ნელ-ნელა ისევ დაიწყო გათიშვები და თანდათან გაიზარდა ხანგრძლივობა. კაცმა არ იცის როდის და რამდენი ხნით გაგითიშავენ და რომელი საქმე დაგრჩება შუა გზაში.

მე შენ გეტყვი ტყუილი არ ეხერხება ამ ხელისუფლებას თუ რა? ხან სტიქია „აზარალებს“ ელექტროგადამცემ ხაზებს, ხან — ვიღაც პროვოკატორთა ჯგუფი. ხალხს იმის ღირსადაც არ თვლიან, რეალური ინფორმაცია მაინც მიაწოდონ. რესპუბლიკის პრეზიდენტის დაპირებებით დაქანცულ ხალხს კი დიდი ხანია აღარაფერი სჯერა, აღარც იმის თავი აქვს, ხმა ამოიღოს ელემენტარული საარსებო სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის.

„ბოროტი ენები“ იმასაც ამბობენ, კახეთის მოსახლეობის ელექტროენერგიის გადასახადით თბილისის მოსახლეობის გადასახადი იფარებაო. იქნებ არც ესაა სიმართლეს მოკლებული, თორემ რას ჰქვია და ვინ მოიგონა კომერციული ელექტროენერგია? თუ იგი საერთოდ არ გამომუშავდება რესპუბლიკაში, კომერციული საიდანღა გაჩნდა? თუ სხვა ქვეყანა გვაწვდის ძვირად, კახეთმა რა დააშავა, რომ მის ხარჯზე სხვების გადასახადი გადაიფაროს.

ყველაფრის მიუხედავად, მოსახლეობის 80 პროცენტი იხდის ელექტროენერგიის გადასახადს, მაგრამ რად გინდა? კვირაში ერთი დღეც არაა ისეთი, რამდენჯერმე არ მოხდეს გათიშვა. გაძლევენ და არც გაძლევენ. ამას ალბათ იმიტომ სჩადიან, რა არის უშუქობა, ხალხს არ დაავიწყდეს და მხოლოდ მეხსიერებას არ შემორჩესო. რას ვიზამთ. ხელისუფლება იმდენად „ჰუმანურია“ — ზამთარი მალე მოვა და ერთბაშად სულ სინათლიდან სიბნელეში გადასვლა ძალიან გაუჭირდება ადამიანებსო.

ხოლო ზამთარში რომ უარესი სიბნელე და სიყრუე გველის ვიდრე გასულ ზამთარს, ამის გარანტიას რესპუბლიკის ენერგეტიკის მინისტრი იძლევა.

გიული ოქრუაშვილი
ქ. სიღნაღი

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თანაუგრძნობს ამირან დოლიძეს დედის გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 20 აგვისტოს, სამშაბათს. დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალის 21. მე-5 სად. მე-3 სართული, ბინა 71

კროსვორდი ნაფიცი ზვიადისტებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორად გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანების საქმეს არაფერი ეშველა. თუ შევარდნაძისტი იტყვის — მდინარე დაღმა მიდისო, ზვიადისტი მტკიცებას იწყებს — აღმა მიჩუხჩუხებსო და პირიქით. იმდენად აღარ გვესმის ერთმანეთის ენა, რომ ეს ყველაფერი უკვე კომიკურ იერს იღებს. ამ ნომერში გთავაზობთ ზვიადისტების კროსვორდს, მომდევნოში შევარდნაძისტების კროსვორდი გამოქვეყნდება...



თარაზულად: 3. ის, ვისაც (ნაღდი ზვიადისტის რწმენით) თავისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებლად მიიჩნევდა რაღაც სასწაულით გაცოცხლებული სერგო ორჯონიკიძე; 5. ქართული საბავშვო ზღაპრის პოპულარული პერსონაჟი; 6. ნახატი, რომელსაც თან ახლავს სააგიტაციო ან სხვა ხასიათის მქონე ტექსტი; 7. ბაღის ბოლქვიანი მცენარე; 9. ავტორი წიგნისა „ანტიკურობის საოცრებანი“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ; 10. ადგილი, სადაც 1770 წლის აპრილში ქართულმა მხედრობამ ერეკლე II-ის სარდლობით ოსმალებზე მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებას ტოტლებენის ღალატის გამო გემო ვერ ჩაატანა; 13. ჩირაღდანი ანუ... 14. ქალაქი დაღესტანში, სადაც ხშირად იმყოფებოდა ყიზლარში 1978 წელს გადასახლებული ზვიად გამსახურდია; 18. ფრანგი პოეტი, რომლის „ლექსები პროზად“ ქართულად თარგმნა ზვიად გამსახურდიამ; 19. გრძელტარიანი, ბასრწვერა იარაღი; 21. ვაჟა-ფშაველას პოემის პერსონაჟი; 22. მკვლელი, რომლის გათავისუფლება და სანაცვლოდ იესო ქრისტეს ჯვარცმა მოითხოვეს იუდეველებმა; 25. ცნობილი ქართველი მომღერალი ქალი; 30. ქართველი მოქანდაკე, ოქრომქანდაკებელი, ფერმწერი და გრაფიკოსი; 32. ქართველი პოეტი ქალი, ავტორი სტრიქონებისა: „ქართველნო! სხვის კარზე ნუ წავალთ კივილით, გინახავთ მტრის კარზე ქართველთა დანდობა?! სხვის სუფრას, სხვის ბანზე გულუხვად გადაშლილს, სხვა ხმაზე უხდება სხვის კარზე გალობა“. 33. საქართველოს რადიოს ერთ-ერთი დიქტორი ქალი, რომელმაც უძნელეს პირობებშიც კი არ უღალატა რადიოს და ზვიად გამსახურდიას; 37. ილია ჭავჭავაძის ლექსი; 39. იტალიის არაერთგზის პრემიერ-მინისტრი (იყო შევარდნაძის კარგი მეგობარიც), რომელსაც მაფიასთან მჭიდრო კავშირის ბრალდებით ამჟამად ასამართლებენ; 41. რომელი სიტყვაა გამოტოვებული (პოეტური გამოცანა ჭეშმარიტი ზვიადისტებისათვის) ზვიადისეული ლექსის ფრაგმენტში: „წმიდაო გიორგი, დიდების მხედარო, ... შენს ხატებას და გული მხნედ არი!“. 42. ავტორი ილუსტრირებული წიგნისა „ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება“; 43. ზვიადისტობის გამო სასტიკად ნაწამები ერთ-ერთი ქართველი პოლიტპატიმარი; 44. პერსონაჟი შექსპირის პიესისა „რომეო და ჯულიეტა“;

შვეულად: 1. უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მსახიობი, რომელმაც 1991 წელს საქართველოში სტუმრობისას თავისი შემოქმედებითი საღამო მიუძღვნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას; 2. სიმებიანი სამუსიკო საკრავი; 3. XI საუკუნის I ნახევრის ხუროთმოძღვრული ძეგლი წალკის რაიონში, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს წყლით დატბორეს მის ადგილზე წყალსაცავის მშენებლობის გამო; 4. სალექსო სტრიქონთა ბოლოში ბგერათა კომპლექსების, სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფის გამეორება; 6. განდევნილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რომელიც ყველას ევედრებოდა: „ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!“ 8. ჩეჩნეთის რესპუბლიკის (იჩქერიის) პრეზიდენტი, ჯერჯერობით ზვიადისა და ჯოჰარის საქმის ერთგული გამგრძელებელი; 11. ილია ჭავჭავაძის რომელი ლექსი მთავრდება სტრიქონებით: „ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ 12. ხევსურთა და ფშაველთა წარმართული ღვთაება; 15. უცხოელი სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე — ზვიად გამსახურდიას იდეალი; 16. ხომალდი, რომლითაც ბერძენი გმირი იასონი „ოქროს საწმისის“ მოსაპოვებლად მიადგა კოლხეთის სამეფოს; 17. დაბა ირკუტსკის ოლქში, სადაც სასჯელს იხდიდა პოლიტპატიმარი მერაბ კოსტავა; 20. ინგუში მწერალი, დისიდენტი, ინგუშეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი; 23. კავკასიის მთიელთა სოფელი; 24. უცხოელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ზვიად გამსახურდიამ გაანაწყენა „დინების საწინააღმდეგოდ ცურვით“; 26. ორ ადგილას, ესე იგი... 27. გამოჩენილი გერმანელ-ფრანგი მოაზროვნე, ჰუმანისტი, რომლის სახელობის ჯილდოც გადაეცა ზვიად გამსახურდიას 1992 წელს; 28. თბილისში, საბჭოთა ჯარისკაცების მიერ 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მიტინგის დარბევის ერთ-ერთი მსხვერპლი; 29. ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და ხელმძღვანელი; 31. მდინარე ჩინეთში; 34. რამაზ ჩხიკვაძის პოპულარული სცენური სახე; 35. პატარა ბიჭი; 36. XII—XIII საუკუნეების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი; 38. პეტრე ამირანაშვილის საოპერო პარტია; 40. მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავი საბერძნეთიდან.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 8. სპიკერი; 9. აქცენტი; 10. ყოყმანი; 11. თითბერი; 12. შთაგონება; 13. ბირდაბირი; 14. ყველი; 17. ქეიფი; 20. ბონია; 22. სერია; 26. ანდერსონი; 28. მასხადოვი; 31. სალორია; 32. ბოსტონი; 33. ლიცეუმი; 34. ლიკურგი.

შვეულად: 1. დღეობა; 2. სიყვითლე; 3. ბრანდო; 4. მართობი; 5. სიცილია; 6. ჰოჰინა; 7. შატბერდი; 15. ვეფხი; 16. ლუკი; 18. ეივე; 19. ფიცი; 21. ნონსენსი; 23. „რევიზორი“; 24. „ენისელი“; 25. დალადიე; 27. რეზინი; 29. აპათია; 30. მორევი.

მთავარი რედაქტორი:
ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41